მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 6-16

ქ.ნინოწმინდა 15 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათელა ნერსესიანის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „არმენ ბდოიან"-ი, (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებლისაგან საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა (CPV:60100000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 900 (ცხრაასი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ს.ყულალისი – ქ.თბილისი – ს.ყულალისი და ს. ყულალისი - ს. განძა - ს. ყულალის საავტომობილო მარშრუტებით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლის მოსწავლეების გადაადგილება, ს.ყულალისი - ქ.თბილისი - ს.ყულალისი და ს. ყულალისი - ს. განძა - ს. ყულალის საავტომობილო მარშრუტებით.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო

ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 15 ოქტომბრამდე ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალიხის საჯარო სკოლა ს/კ 236688919 მის. : ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ყულალიხი ტელ: 551086181 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE66LB0121135173515000 დირექტორი ნათელა ნერსესიანი (ხელმოწერა)	ინდივიდუალური მეწარმე „არმენ ბდოიან" ს/კ 32001003769 მის.: ქ. ნინოწმინდა, ა.ხაჩატურიანის ქ.#10 ტელ.:577982100 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE98LB0112130557145000 დირექტორი არმენ ბდოიან (ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ნინოწმინდა

15 ივნისი 2016 წელი.

მიკრო ავტობუსის მძღოლმა არმენ ბდოიანმა ჩააბარა, ხოლო სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ყულალოსის საჯარო სკოლის დირექტორმა ნათელა ნერსესიანმა ჩაიბარა 2016 წლის 13 ივნისის №-6-16 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების (სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ყულალოსის საჯარო სკოლის მოსწავლეების გადაადგილება ს. ყულალოსი – ქ. ნინოწმინდა – ს. ყულალოსი ექსკურსიაზე) პირველი გამგზავრება (2016 წლის 15 ივნისი), რომლის ღირებულებაც შეადგენდა საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 400 (ოთხასი) ლარს.

მიიღო:

ნათელა ნერსესიან

ჩააბარა

არმენ ბდოიანი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ნინოწმინდა 15 ივნისი 2016 წელი

მიკრო ავტობუსის მძღოლმა აშოტ ღარსლიანმა ჩააბარა, ხოლო სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ყულალისის საჯარო სკოლის დირექტორმა ნათელა ნერსესიანმა ჩაიბარა 2016 წლის 13 ივნისის №-6-16 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების (სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ყულალისის საჯარო სკოლის მოსწავლეების გადაადგილება ს. ყულალისი – ქ. თბილისი – ს. ყულალისი ექსკურსიაზე) მეორე გამგზავრება (2016 წლის 15 ივნისი), რომლის ღირებულებაც შეადგენდა საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 400 (ოთხასი) ლარს.

მიიღო:

ნათელა ნერსესიან

ჩააბარა

აშოტ ღარსლიან

<u>მიღება-ჩაბარების აქტი</u>

ქ. ნინოწმინდა　　　　　　　　　　　　　　　　17 ივნისი 2016 წელი.

მიკრო ავტობუსის მძღოლმა აშოტ ღარსლიანმა ჩააბარა, ხოლო სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ყულალისის საჯარო სკოლის დირექტორმა ნათელა ნერსესიანმა ჩაიბარა 2016 წლის 13 ივნისის №–6-16 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების (სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ყულალისის საჯარო სკოლის მოსწავლეების გადაადგილება ს. ყულალისი - ს. გაჩია - ს. ყულალისი ეკლესიაზე) მასამე გამგზავრება (2016 წლის 17 ივნისი), რომლის ღირებულებაც შეადგენდა საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 100 (ასი) ლარს.

მიიღო:

ნათელა ნერსესიან

ჩააბარა

აშოტ ღარსლიან